თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. თბილისი 2017 წელი, 5 დეკემბერი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით უჯმაჯურიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, გოჩა თევდორაძე, ჯახა ჯიშკარიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გიორგი გაბაშვილი, თევდორე ისაკაძე

სხდომას თანმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

<u>სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:</u>

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
სანდრო ტოგონიძე -თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
ნესტან ადეიძე - არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი
ლუკა კიკანი – არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12- 031733421-03).

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპის) პროექტის დამტკიცების შესახებ (12-031733861-03)

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12-031733868-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30 87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12 031733421 03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსულობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა მცირდება 7,471.2 ათასი ლარით და შეადგენს 818,826.9 ათას ლარს. მცირდება შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (ფუნდფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, რაც დაკავშირებულია მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი სახაგერო გზის მშენებლობასთან, რომლისთვისაც ასიგნებები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, მცირდება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილიც. გარდა ამისა, ბიუჯეტში ფაქტიურად მობილიზებული შემოსულობებიდან გამომდინარე მცირდება შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 25 000,0 ათასი ლარით და ამავე ოდენობით იზრდება შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფაქტიურად მიღებული თანხების გათვალისწინებით პროექტში ასახულია მიმდინარე ტრანსფერის მუხლიდან 500,0 კაპიტალური ტრანსფერის მუხლში გადატანა.

წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებული რესურსი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი ქვეპროგრამის ასიგნებები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 4,759.3 ათასი ლარით ვაგონების კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაციის მიზნით; წყალსადენის ქსელის მოსაწყობის მიზნით იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) 14,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) 350,0 ათასი ლარით ფონიჭალა 3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებისთვის; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის #37.09.714 განკარგულების შესრულების მიზნით, იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 3 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) 22,0 ათასი ლარით.

2015 წლის 13 14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების (კოდი 02 11) პროგრამის ფარგლებში ვაკის რაიონისათვის განკუთვნილი ასიგნებები იზრდება 8,7 ათასი ლარით სტიქიის შედეგად დაზარალებული ეროი პირისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ფულადი დახმარების გასაცემად; ოუწყვის სახურავებისა და ლიფტების მიმდინარე შეკეთების მიზნით, იზრდება შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაწვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) 170,0 ათასი ლარით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაწვითარების ხელშეწყობა სახურთალის რაიონში (კოდი 05 01 13) 40,0 ათასი ლარით;

მცირდება: სახელშეკრულებო, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) 505,4 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) 344,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) 60,0 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) 26,9 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) 150,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და აქარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 996,1ათასი ლარით; საპროექტო–საძიებო სამუშაოები, პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები და სხვა ხარჯები (კოდი 02 03 01) 120,9 ათასი ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) 29,5 ათასი ლარით; სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაცია (კოდი 02 06) 19,9 ათასი ლარით; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) 22,4 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა რეგულირება (კოდი 02 09 08) 191,5 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) 60,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) 17,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) 56,4 ათასი ლარით;

კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) 252,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) 60,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) 160,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) 575,0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 1 315,0 ათასი ლარით, ვინაიდან არ შედგა ავტობუსის გაჩერებებისათვის ელექტრონული ტაბლოების შეძენა-მონტაჟი, ინსტალაციისათვის გამოცხადებული ტენდერი პრეტენდენტის არ შემოსვლის გამო, ამავე მიზეზით არ შედგა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლების დამზადება-მონტაჟის ტენდერი; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) 373,0 ათასი ლარით სამუშაოების ღირებულების დაზუსტების ხარჯზე, ასევე მ/სადგური „ფოცხიშვილი" საპროექტო სამუშაოების დაგეგმვებით წარმოდგენის გამო ვერ გამოცხადდა ტენდერი კაპიტალური სამუშაოების დაწყებაზე; საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) / 471,2 ათასი ლარით, ვინაიდან სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა ტერიტორიის განთავისუფლების შეფერხების გამო; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) 200,0 ათასი ლარით, ეკონომია წარმოშობილია ბეგლების მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხიდან; საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) 109,8 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალანსების აუდიტორული შემოწმების მომსახურების შესყიდვა განხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვის ფორმით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა წაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) 50,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) 15,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) 205,0 ათასი ლარით;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 813 165,0 ათასი ლარის ოდენობით და ხარჯების ცვლილება 5 661,9 ათასი ლარი.
შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 746 765,0 ათასი ლარის ოდენობით

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 818 826,9 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია 584 105,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 126 031,6 ათასი ლარი; ფინანსური აქტივების ზრდა 102 277,5 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება 6 412,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 61 031,6 ათას ლარს, მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა – 126 031,6 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება – 65 000,0 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 95 215,6 ათას ლარს, მათ შორის: ფინანსური აქტივების ზრდა 102 277,5 ათასი ლარი; ფინანსური აქტივების კლება 7 061,9 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 5 661,9 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (6 412,5) ათას ლარს, მათ შორის: ვალდებულებების კლება 6 412,5 ათასი ლარი.

2017 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 101 628,1 ათასი ლარით.

ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და ანრი ოქროპირიძემ.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიიჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, 1 პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს ყოველდღის სხდომაზე განსახილველად.

2. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპის) პროექტის დამტკიცების შესახებ (12-031733861-03)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპის) პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR152455O განაცხადი)

გრგ-ს პროექტი დამუშავებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად, ხოლო 2017 წლის 14 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №234 განკარგულებით ცვლილება შევიდა გრგ გეგმარებით დავალებაში, გრგ-ს საპროექტო არეალის ფართობის დაზუსტებასთან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ვარკეთილის III მასივში, ზ. ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩასა და გ. აბაშვილის ქუჩებს შორის. ტერიტორიის I ეტაპის არეალი არის გაუნაშენიანებელი, ხოლო მის აღმოსავლეთით -- II ეტაპის არეალი არის უმეტესად დაურეგისტრირებელი, დაბალი ინტენსივობის 1 და 2 სართულიანი განაშენიანებით.

წარმოდგენილი გრგ-ს (I ეტაპის) პროექტი დამუშავებულია არქიტექტურის სამსახურის მიერ, ხოლო დამკვეთს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, რომელმაც დაგეგმა საცხოვრებელი კომპლექსის განვითარება - ვარკეთილის III მასივის ამორტიზებული განაშენიანების ადგილმონაცვლების ან/და დამატებითი საცხოვრებელი ფონდის შექმნის მიზნით და შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფით, ასევე ზღვრის სანაკვლო ხაღის აშენებლობა.

საპროექტო ტერიტორია (I ეტაპი) მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით. N01.19.10.020.025, ფართობით 30205 კვ. მ.

სხდომაზე კომისიის წევრებმა დასვეს კითხვები და გამოთქვეს მოსაზრებები, კერძოდ:

კომისიის წევრმა ბატონმა გიორგი ტყემალაძემ მოითხოვა განმარტება გრგ პროექტით გათვალისწინებულ საცხოვრებელ კორპუსებში ავტომანევრების განთავსების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა რევაზ სოხაძემ დამკვეთისა და შემსრულებლებისაგან მოითხოვა ინფორმაცია, მითითებული ტერიტორიის სამშენებლო განვითარების, ეროვნული ხედვისა და გრგ პროექტის განხორციელებით მისაღები შედეგების შესახებ.

სხდომაზე განმარტებებს აძლევდა და საკრებულოს წევრების კითხვებს პასუხობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი წესტან ადვაძე, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე სანდრო ტოგონიძე და პროექტის ავტორი ლუკა კიკიანი.

გრგ ს წარმოდგენილი პროექტი ძირითადად მოწონებული იქნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპის) პროექტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული №AR1524550 განცხადება) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (12-031733868-03)

კომისიის სხდომაზე საკითხი წარმოდგინა ბატონმა გიორგი ტყემალაძემ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადების წარდგენის შესახებ'' 2017 წლის 29 ნოემბრის N44.15.865 განკარგულება.

შესაბამისად, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისა და 79-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განკარგულების პროექტი გაჯანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე